

შპს სოთო

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

შპს „სოთო“
სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
სრული შემოსავლის ანგარიშგება
განმარტებითი შენიშვნები
ბოლო გვერდი

3
4
5
10


შპს „სოთო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-24	1-იან-24
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	64178	63292
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	87306	69408
გადახდილი ავანსები	5	12351	20,716
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	25595	22904
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		189430	176320
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	556020	302448
არამატერიალური აქტივები		4,518	4,518
სულ გრძელვადიანი აქტივები		560538	306963
სულ აქტივები		749968	483282
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	22427	35973
საგადასახადო ვალდებულებები		48367	45660
მიღებული ავანსები		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		70794	81633
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		323171	89422
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		323171	89422
სულ ვალდებულებები		393965	171055
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		356003	312228
სულ საკუთარი კაპიტალი		356003	312228
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		749968	483282

ხელმოწერი პირი:

დირექტორი




შპს „სოთო“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნა 9	2024 3689095 (981227)	2023 3 383 011 (1006793)
მოგება-ზარალის ანგარიშგება ამონაგები რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			
		2,707 868	2 376 218
საერთო მოგება			
	10	(2,613 891) (11 929)	(2 248 012) (30 782)
ადმინისტრაციული ხარჯი		-	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		-	-
საოპერაციო ხარჯები		-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		-	-
სხვა შემოსავალი		(37 773)	(14679)
საპროცენტო ხარჯები		(500)	(854)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			
		43 775	81892
მოგება დაბეგვრამდე			(16456)
მოგების გადასახადის ხარჯი			
		43 775	65435
წმინდა ზარალი/მოგება			

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



შპს „სოთო“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სოთო“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 405108226), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2015 წლის 6 ივლისიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ზ. ფალიაშვილის ქ., N70/7, ბ. N11.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 50% ოთარ მაგლობლიშვილი და 50% სოფია ბაზლაძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს კომპანიის დირექტორები - ოთარ მაგლობლიშვილი და სოფია ბაზლაძე.

შპს „სოთო“-ს საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო და მობილური საკვები მომსახურების გაწევა თბილისში მდებარე 4 ობიექტის მეშვეობით.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

შპს „სოთო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2023 და 2024 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

შპს „სოთო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

ლარებში

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები

15-33%

ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი

15-33%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები* საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება/გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შპს „სოთო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „სოთო“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

3. ფულადი სახსრები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	54734	21058
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9444	42234
სულ ფულადი სახსრები	64178	63292

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	87306	69408
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	87306	69408

5. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადახდილი ავანსები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	12351	20,716
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12351	20,716

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		
მზა პროდუქცია	16387	12,387
ნედლეული და სხვა მასალები	9208	10 517
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	25595	22 904

7. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	შენობა-ნაგებობები	სულ
ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	47555	235331	179345	462231
შეძენა		260987		260987
31 დეკემბერი 2024	47555	496318	179345	723218
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2023	32 798	95 241	31 746	159785
ცვეთა	5065	6864	-	11929
31 დეკემბერი 2024	37863	102105	31,746	171714
ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	14 757	140 090	147599	302446
31 დეკემბერი 2024	9692	394213	147,599	551504

შპს „სოთო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	22427	35973
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება	22427	35973

9. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები		
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3 689 095	3 383 011
ამონაგები	3,689 095	3 383 011

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ადმინისტრაციული ხარჯები		
იჯარის ხარჯი	371891	277 601
ხელფასის ხარჯი	1396070	1 185 466
სხვა ხარჯი	846430	784 945
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	2 614 391	2 248 012

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც კომპანიის
ოპერირებაზე გავლენას მოახდენდა, არ დაფიქსირებულა.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს¹.